ქ. წალენჯიხა

24 აპრილი 2023 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი N6

2023 წლის 24 აპრილს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელია. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია მიქავა, გიორგი დ[illegible]ალია, თენგიზ ფიფია, მამუკა მიქავა, ომარ ქარდავა. ასევე ესწრებოდა საკრებულოს წევრი რაისა ჩანგელია.

დაწყების დრო: 11:00-სთ.
დასრულების დრო: 12:00-სთ

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: **გიორგი გოგიბერიძე**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2.სხვადასხვა.

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელიამ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი. დღის წესრიგით

გათვალისწინებულ საკითხი საკრებულოს წევრებს გააცნო წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა, გიორგი გოგიბერიძემ.

1) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 იანვრის N1 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს გამონაკლისის შემთხვევებს, როდესაც, არის ფორსმაჟორი, ექსტრემალური სიტუაცია (მაგ, პირი სასწრაფოდ არის გადასაყვანი მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სხვა ქალაქში, ან სჭირდება გადაუდებელი ძვირადღირებული სამედიცინო დახმარება და ა.შ) და ბენეფიციარზე აუცილებელია გაიცეს არასტრანდარტულად დადენილი დახმარება, ამ შემთხვევაში მერი ინდივიდუალურად განსაზღვრავს დახმარების ოდენობას 200-დან 1000 ლარამდე ფარგლებში. ცვლილების პროექტით, მერის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, სოციალურმა კომისიამ უნდა შეისწავლოს დოკუმენტების სისწორე და მართებულობა. რაც ნიშნავს იმას, რომ დოკუმენტაცია გაივლის ორმაგ გადამოწმებას, როგორც უშუალოდ მერის მხრიდან, ისე კომისიის მიერ.

2) მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარების მუხლში, პროგრამა გათვლილია მოქალაქეებზე, რომლებიც ვერ ფინანსდებიან სხვა ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამით და აქვთ მძიმე ყოფითი პრობლემები, რომელიც დადასტურებულია ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ, პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ ფულადი დახმარების გაცემას 100-დან 200 ლარამდე ოდენობით ადმინისტრაციული აქტით დადგენილი თვიური ლიმიტის ფარგლებში. ადრე არსებული რედაქციით, ის პირები, რომლებიც იყვნენ სხვა პროგრამის ბენეფიციარები, ოჯახის წევრებთან ერთად ვერ სარგებლობდნენ ერთდროული ფულადი დახმარებით, ამასთან სოფლის წარმომადგენლებს, არ მიუწვდებოდათ ხელი სტატისტიკურ მონაცემზე ბენეფიციართა ოჯახების შესახებ. გათვალისწინებით ამისა, განსახილველი პროექტით ამოღებული უნდა იყოს ბენეფიციართა ოჯახის წევრებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამით სარგებლობის შეზღუდვა.

3) სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის მე-10 მუხლში, რომელიც შეეხება საზეიმო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ერთჯერადი ფულადი ან მატერიალური დახმარების გაწევას, წარმოდგენილი პროექტით ბენეფიციარების წრე იზრდება და კომისიას შეეძლება თავისი გადაწყვეტილებით ამ პროგრამით ასარგებლოს მის მიერ შერჩეული, სხვა ღვაწლმოსილ პირთა კატეგორია. გათვალისწინებით ამისა, წესის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: 1. პროგრამით მოსარგებლენი არიან საზოგადოების ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანები, აფხაზეთისა და 8 აგვისტოს საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა, სამსახურეობრივი

მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული საჯარო და ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელთა ოჯახები და შესაბამისი „სოციალური კომისიის“ მიერ განხილული და შერჩეული სხვადასხვა პირები, რომელთაც საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით გაეწევათ ერთჯერადი ფულადი ან/და მატერიალური დახმარება“.

ამ ცვლილებებთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა დააფიქსირეს შენიშვნები და წინადადებები. საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ აღნიშნა, რომ არ ეთანხმება ამ ცვლილებებს: 1. ერთჯერად ფულად დახმარებასთან დაკავშირებით, მიიჩნია, რომ პუნქტი დარჩეს იმ რედაქციით, როგორც იყო, რადგანაც კომისიის მიერ საკითხის შესწავლა გარკვეულ დროსთან იქნება დაკავშირებული და ეს საგამონაკლისო შემთხვევები ფუნქციას დაკარგავს, ამიტომ სოფლის წარმომადგენლის შუამდგომლობა და ამის საფუძველზე მერის მიერ გადაწყვეტილების მიღება, მნიშვნელოვნად შეამცირებს ექსტრემალურ, გამონაკლის შემთხვევებში ერთჯერადი დახმარების გაცემის გაჭიანურებას.

2. პროექტის მე-10 მუხლის პირველი პუნქტში ნახსენებია ტერმინი „შერჩეული სხვადასხვა პირები“, არის ბუნდოვანი, არ ჩანს რა კატეგორიას მოიცავს იგი, ამიტომაც მიაჩნია, რომ დაზუსტებით უნდა ჩაიწეროს ბენეფიციართა წრე. კომისიის სხვა წევრების დაეთანხმნენ ზემოთ აღნიშნულ შენიშვნებს.

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ კენჭისყრის საფუძველზე გადაწყვიტა:

დადგენილების პროექტზე გამოთქმული შენიშვნების თაობაზე იმსჯელოს მერიამ და წარმოადგინოს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ამით საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ დაასრულა მუშაობა.

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — რომან კვარაცხელია